ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 მარტი, კვირა, 1990 წ.
№ 56 (10 225) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ანზორ კიკნაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

# მხოლოდ ღირსეულთ...

**შესანიშნავად** დაიწყეს ბრძოლა 49 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ჩვენმა ფალავნებმა. თბილისელმა მიხეილ აბაშიძემ რამდენიმე წმინდა გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ასპარეზობის ფინალურ ნაწილში მოულოდნელი მარცხი განიცადა. თუმცა შემდეგ, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში სძლია საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს გულიევს და საბოლოოდ III ადგილს დასჯერდა. ამავე წონით კატეგორიაში III ადგილი დაიკავა მამუკა ტეტუნაშვილმაც, გამარჯვება კი მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრების წევრმა ულდუს სულთანოვმა, რომელმაც ფინალური ბრძოლა მოუგო თანაგუნდელ რაფიკ მამედოვს.

53 და 57 კგ წონით კატეგორიებში განკუთვნილი რვა საპრიზო ადგილიდან 5 ქართველმა ფალავნებმა დაისაკუთრეს. 53 კგ-ში გაიმარჯვა ნიკოლოზ ქოჩიაშვილმა (მწვრთნელი ჯონდო ჯანიაშვილი), რომელმაც ფინალში სძლია ბესარიონ ოდიშვილს. მესამე ადგილი წილად ხვდა გიორგი კაჟიაშვილს, მეოთხე — გ. მამედოვს (სსრკ).

57 კგ წონით კატეგორიაში, სადაც 16 ქართველი მოჭიდავე ცდიდა ბედს, გაიმარჯვა გორელმა გიორგი ვაზაგაშვილმა (მწვრთნელი იოსებ ფუნაშვილი), რომელმაც ფინალური შეხვედრა 2 წუთში მოუგო ძლიერ სპორტსმენს გოგი იოსელიანს. ვაზაგაშვილი 7-ჯერ გამოვიდა ტატამზე და ყველა შეხვედრა ვადაზე ადრე წმინდა გამარჯვებით დაამთავრა!



გ. ვაზაგაშვილი



ნ. ქოჩიაშვილი

ამავე წონაში მესამე ადგილები დაიკავეს სებასტიან ჰამპელმა (გდრ) და ფანკ გამზაევმა (სსრკ).

მაყურებელი დიდი ინტერესით ელოდა საქართველოს და საერთოდ, მოჭიდავე გოგოების ტატამზე გამოჩენას, მაგრამ მათ მოლოდინი არ გაუმართლდათ: მსუბუქ წონით კატეგორიებში (39, 42, 45, 48 კგ), მხოლოდ ორი-სამი სპორტსმენი გამოდიოდა, ასე რომ, გოგოებმა პირდაპირ ფინალური შეხვედრები გამართეს; მოკლედ, მონაწილეს ყველა შეხვედრა რომ წაეგო, უმედლოდ მაინც არ დარჩებოდა.



39 კგ წონით კატეგორიაში პოლონელმა ბეატა პუზაშევსკამ სძლია საქართველოს გუნდის წევრს თამარ არშაკუნს. არშაკუნს ვერცხლის მედალი ხვდა წილად. ასევე ვერცხლის მედალი ერგო თამარის დას ეთერ არშაკუნს (42 კგ), რომელმაც მარცხი განიცადა ნატალია ფედიაევასთან (სსრკ) შეხვედრაში.

45 კგ წონაში ჩემპიონობა მოიპოვა საბჭოთა ნაკრები გუნდის წე-

იხ. მე.2 გვ.

# მოლოდინი

## ვინ ამღვრევს წყალს?

**დღეს ფოთის წყალსათხილამურო კომპლექს „აიას" ვინმეს შექება ისე ხჭირდება, როგორც ვარსკვლავს — ასტრონომი. ეს ახლა, საქვეყნოდ რომ გაითქვა სახელი, თორემ მაშინ, მალთაყვის ტყე-პარკში, „ოქროს ტბის" ნაპირზე ეს მშვენიერი ბაზა რომ აშენდა, ქების სიტყვები, იცოცხლეთ, არ დაგვიშურებია ამ საშვილიშვილო საქმის წამომწყებთა და შემსრულებლებისათვის. ვუყურებდით და გვჯეროდა, რომ კარგი იყო, მაგრამ ეს კარგობა, მოგეხსენებათ შედარებითია, ამიტომ მრავლისმნახველ სტუმრებისთვისაც ხშირად გვიკითხავს, — რის გაკეთებას გვირჩევდით, „აია" რომ უფრო უკეთესი გახდეს. მოსკოველი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, ფოთსა და თბილისში გამართულ წყალმოთხილამურეთა საკავშირო თასის გათამაშებების მსაჯთა კოლეგიის უცვლელი თავმჯდომარის ვიქტორ ბაკშტანსკის მიერ ჯერ კიდევ როდის ნათქვამი სიტყვები მახსენდება: აქ რომ მოხერხებული, ტევადი ტრიბუნაც აიგება, საკავშირო თასის გათამაშებას კი არა, თუგინდ ევროპის ჩემპიონატსაც ვუმასპინძლებთ.**

**ტრიბუნაც აიგო და, როგორც კარგა ხანია გაუწყეთ, ფოთში-წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატის ჩატარებაც გადაწყდა. გადაწყდა, მაგრამ... მოვლენები ისე განვითარდა, ამ ბოლო დროს რომ ხდება — ვიღაცამ თუ რაღაცამ წყალი მაინც აამღვრია. ამ გარემოებამ, ცხადია, გაგვაოცა და გულიც დაგვწყვიტა, ამიტომ ვითარებაში გარკვევა ვთხოვეთ საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ვახტანგ მახარაძეს.**

**● უთუო რომ ხათუო გახდება და სიტუაციაში გარკვევას ცდილობენ, საუბარს შორიდან იწყებენ...**

— რა თქმა უნდა, ასე სჯობს, ამიტომ ჩვენც თავიდან დავიწყოთ. შარშან დეკემბრის დამდეგს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო საკავშირო სპორტსახკომიდან გამოგზავნილი წერილი. ავტორი, საბჭოთა კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარე ნიკოლაი რუსაკი რესპუბლიკის მთავრობას სთხოვდა, განეხილა წყალმოთხილამურეთა ევროპის 1991 წლის ჩემპიონატის ფოთში ჩატარების საკითხი. წერილი იმასაც იუწყებოდა, რომ ეს საკითხი შეთანხმებული იყო საქართველოს სპორტსახკომთან. ეს, რა თქმა უნდა, ასეც იყო, მაგრამ შექმნილ ვითარებაში გარკვევას თუ ვცდილობთ, ამ საქმეშიც ღრმად უნდა ჩავიხედოთ. ფოთში ევროპის ჩემპიონატის ჩატარების საკითხი საქართველოს სპორტსახკომისთვის შეთანხმებაზე და უბრალო დასტურზე გაცილებით მეტი გახლდათ: ეს იყო რესპუბლიკის სპორტის ხელმძღვანელობის და ამ სახეობის მესვეურთა პოზიცია და მიზანი, რომლის მისაღწევად, მე რომ არ გითხრათ, თქვენც კარგად მიხვდებით, დიდი გარჯაც იყო საჭირო, დიპლომატიაც და ხასიათის სიმტკიცეც. მას შემდეგ, რაც წყალსათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ევროპის 1991 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა საბჭოთა კავშირს მიანდო, ჩვენს გარდა, ბუნებრივია, სხვებსაც გაუჩნდათ სურვილი ეტვირთათ ამ საპატიო და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პრაქტიკულადაც ფრიად სასარგებლო მისია. საბოლოოდ ფოთს მოსკოვის ცნობილი კრილატსკის არხი დაუპირისპირეს, მაგრამ არჩევანი მაინც ფოთზე შეჩერდა. შეჩერდა იმიტომ, რომ ამ წამოწყების თაოსნებმა, კერძოდ, საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარემ ნუგზარ ენდელაძემ, პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პეტრე ბერაიამ და ფოთის წყალსათხილამურო კომპლექსის სპონსორმა, ქალაქის ჩაის კომბინატის დირექტორმა რომან მელიამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდეც და შემდგომაც საკავშირო სპორტსახკომის ხელმძღვანელობას და სხვა დაინტერესებულ პირებს საფუძვლიანად განუმარტეს და დაუსაბუთეს ის ბუნებრივ-კლიმატური და მატერიალური უპირატესობანი, რომელიც კრილატსკის არხთან შედარებით ფოთის ბაზას აქვს. ამიტომაც იყო, რომ ფოთის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს საკავშირო

იხ. მე.2 გვ.

ქველმოქმედება

### სიჯანსაღისა და სპორტის საქართველოს რესპუბლიკურ საქველმოქმედო ფონდში

**გამოეხმაურა** რა გაზეთ „ლელოს" მოწოდებას — საბედისწერო შემთხვევისაგან ლოგინს მიჯაჭვული სპორტსმენის — გიორგი რთველიაშვილისათვის თანადგომის აღმოჩენის შესახებ, ა. წ. 9 მარტს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა — ნონა გაფრინდაშვილმა, სიჯანსაღისა და სპორტის საქართველოს რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდის მზრუნველთა საბჭოს ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ — ნანა ალექსანდრიამ და მისმა მოადგილეებმა ბინაზე — სოფელ ძეგვში მოინახულეს გიორგი რთველიაშვილი და ფონდის სახელით გადასცეს 1500 მანეთი.

### ელვა-ინფორმაცია

**დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება საბჭოთა კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები, რომელიც იქ მსოფლიო თასის გათამაშებაში იასპარეზებს. გუნდის შემადგენლობაში საქართველოს ოთხი ფალავანია: დავით გობეჯიშვილი, მერაბ ვალიევი (ორივე — მძიმე წონა), ლერი ხაბელოვი (100 კგ) და გოჩა მაკოევი (62 კგ).**

# ჯილდო — 4 მილიონ 100 ათასი

**მალაიზიის** დედაქალაქ კუალა-ლუმპურში მიმდინარე მსოფლიო პირველობის პრეტენდენტ მოჭადრაკეთა ფინალური მატჩი ანატოლი კარპოვსა და იან ტიმანს შორის დასასრულს უახლოვდება. მას შემდეგ, რაც მეშვიდე პარტია ყაიმით აღინიშნა, ხოლო მერვე პარტიაში 38-ე სვლაზე გაიმარჯვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, ანგარიში გახდა 5,5:2,5 კარპოვის სასარგებლოდ. მეცხრე პარტია არ გამართულა, ვინაიდან ტიმანმა აიღო ბოლო, მეორე ტაიმ-აუტი.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ, რომ სათამაშო დარჩა კიდევ ოთხი პარტია და საბჭოთა დიდოსტატს მხოლოდ ქულაღა სჭირდება გამარჯვებისთვის, იოლი მისახვედრია, რომ მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის მომავალ მეტოქედ სწორედ ანატოლი კარპოვი იქნება.

აქვე გაუწყებთ, რომ ფინალური მატჩი მსოფლიო პირველობაზე გაიმართება ორ ეტაპად — პირველ 12 პარტიას საფრანგეთის ქალაქი ლიონი უმასპინძლებს, ხოლო მეორე ნახევარი (ასევე 12 პარტია, თუ საჭირო შეიქნა) გაიმართება ნიუ-იორკში.

გაგაცნობთ იმ კოლოსალური ფულადი ჯილდოს თანხას, რომელიც გამოყოფილია მატჩის მონაწილეთათვის — 4,1 მილიონი შვეიცარიული ფრანკი (4,55 მილიონი დასავლეთგერმანული მარკა). აქედან გამარჯვებული მიიღებს 62,5 პროცენტს, ხოლო დანარჩენს — დამარცხებული.

### მ. ხურცილავა — „გურიის" მწვრთნელი

**ლანჩხუთის** „გურიის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა სპორტის დამსახურებული ოსტატი **მურთაზ ხურცილავა.**

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა შორის ● I ლიგა

# დანარჩენი მატჩებიც

**I ლიგის** კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო გათამაშება ფინიშის სწორზე გავიდა და ახლა მონაწილე გუნდებს 4-4 მატჩიღა აქვთ ჩასატარებელი. „ლელოს" მკითხველებმა თბილისში გამართულ ლენინგრადის „ვოლნასა" და ადგილობრივი პოლიტექნიკური უნივერსიტეტის შეხვედრების შედეგები უკვე იციან.

გაიმართა სხვა მატჩებიც, რომლებიც ასეთი შედეგებით აღინიშნა: „სტროიტელი" (ფრუნზე) — „სტალი" (დნეპროპეტროვსკი) 104:76, 82:67; „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი" (სიმფეროპოლი) 85:73, 94:74; ტტტ (რიგა) — „შრომითი რეზერვები" (გორკი) 79:70, 78:60; „ურალმაში" (სვერდლოვსკი) „სტალი" (დნეპროპეტროვსკი) 67:71, 83:64; „სტროიტელი" (ფრუნზე) — „სპარტაკი" (სიმფეროპოლი) 92:75, 79:73, „კრასნი აქსაი" (დონის როსტოვი) — უსკ (ტარტუ) 89:79, 85:66 ; ტტტ (რიგა) — „სპარტაკი" (პენზა) 70:66, 95:76.

ასპარეზობას ლიდერობს ტტტ. მას კვალდაკვალ მიჰყვებიან საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი და ფრუნზეს „სტროიტელი".

# მადლობა მასპინძლებს

**სასიხარულოა,** როდესაც მონაწილენი კმაყოფილები რჩებიან ასპარეზობის კარგი ორგანიზაციით. ფოთი მასპინძლობდა საქართველოს ახალგაზრდა სამბისტთა პირად პირველობას და როგორც ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების მთავარმა მწვრთნელმა გია ოქროპირიძემ აღნიშნა: „...ქალაქის ხელმძღვანელობა დიდად დაგვეხმარა ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებაში, მათვე დააწესეს პრიზები, როგორც მონაწილეთათვის, ასევე მსაჯებისთვის"... მართლაც მისასალმებელი ფაქტია.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 48 კგ რომან ფიფია (ზუგდიდი); 52 კგ დურუ კოდუა (სოხუმი); 57 კგ ბადრი ჯანიაშვილი (კასპი); 62 კგ მურთაზ თურქია (ფოთი); 68 კგ შალვა ბენიძე (თელავი); 74 კგ არჩილ ბიძინაშვილი (თბილისი), 82 კგ ნიკოლოზ გაგნიაშვილი (საგარეჯო), 90 კგ ერვანდ მარტიროსიანი (სოხუმი); 100 კგ მიხეილ ყუშიტაშვილი (საგარეჯო), მძიმე წონა როლანდ ლიპარტელიანი (ლენტეხი).

გამარჯვებისკენ სწრაფვისათვის დაწესებული პრიზი გადაეცა მამუკა კურდღელაშვილს (62 კგ კატეგორიაში დაიკავა მეორე ადგილი); ტექნიკური მოჭიდავის პრიზი — არჩილ ბიძინაშვილს.

**გია ბურდული.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოლოდინი

## ვინ ამღვრევს წყალს?

(დასასრული)

სპორტსახკომის თავმჯდომარემ და წყალსათხილამურო სპორტის საკავშირო ფედერაციის პრეზიდენტმა ვიქტორ აფანასიევმა. აი, სწორედ ამის შემდეგ გამოეგზავნა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ის ბარათი, თავში რომ ვახსენეთ. რესპუბლიკის მთავრობამ განიხილა საკითხი, დათანხმდა თხოვნას, ოფიციალური პასუხიც აცნობა საკავშირო სპორტსახკომს და სამზადისსაც დროულად შეუდგა. შემუშავდა მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტი წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატისათვის მზადების შესახებ. ეს პროექტი გასაცნობად და განსახილველად გადაეგზავნა ყველა იმ სამინისტროსა და უწყებას, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ჩემპიონატის მოსამზადებელ სამუშაოებში.

**● როგორც ვიცი, ეს დადგენილება დღემდე პროექტის სახით არსებობს.**

— დიახ, და სწორედ ამ დადგენილების მიღების შეფერხების მიზეზი გახლავთ ჩვენი საერთო საფიქრალი და საწუხარი. წელს, თებერვლის შუა რიცხვებში საკავშირო სპორტსახკომიდან მივიღეთ შემდეგი შინაარსის დეპეშა — ნულარ ირჯებით. წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატი საბჭოთა კავშირში აღარ ჩატარდებაო. ამან, ცხადია, შეაბრკოლა მინისტრთა საბჭოს დადგენილების მიღება.

**● აი, ახლა კი დადგა ჩემი ვრცელი და ეჭვნეული კითხვის დრო. რომ ატყუებან, ორი ვარიანტია: გამორიცხული არ არის, წყალსათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია მართლაც შეაშინა და დააფრთხო სომხეთ-აზერბაიჯანის წლევანდელმა კონფლიქტმა, უფრო კი ბაქოს ტრაგედიამ, რომელთა აღწერისას საკავშირო ინფორმაციის საშუალებები არა თუ აზუსტებდნენ გეოგრაფიულ არეალს, არამედ განზრახ აბუნდოვნებდნენ მას — „ამიერკავკასიის" გამუდმებულ ძაბილს ვგულისხმობ. მაგრამ საერთაშორისო ფედერაციებში პედანტი, იურიდიულ ნორმებს „ჩაბღაუჭებული" მუშაკები საკმაოდ ჰყავთ, ისინი კი პირუმტკიცობას ასე იოლად ვერ გაბედავდნენ — გაიკითხ-გამოიკითხავდნენ, ან გადაწყვეტილებას დაასაბუთებდნენ, ან გარანტიებს მოითხოვდნენ, ჩვენებური ბიუროკრატების ენაზე რომ ვთქვათ, „სათანადო საბუთებს შექმნიდნენ". მოსკოვიდან უარი რომ შემოგვითვალეს, ასეთი საბუთები ან მათი ასლები მაინც უნდა დაერთოთ — მაშინ ხომ სალაპარაკოც აღარ გვექნებოდა. საბუთები და უარის მოტივი არ ჩანს, ამიტომ, ბუნებრივია, ჩნდება ეჭვი, რომელსაც ჩვენ სპორტში ამ ბოლო დროს მომხდარი უსიამოვნო ამბები აჩენს და აძლიერებს — აქ ვიღაცის ან ვიღაცეების, კერძოდ, ცენტრის ზოგიერთი უკეთური მუშაკის ხელი და ენა ურევია.**

— რა გითხრათ, როცა საბუთი ხელთ არა გაქვს, ვერც ჰოს იტყვი და ვერც არას. ერთი კია. თქვენ რომ ბოლო დროს მომხდარი ამბები ახსენეთ, ფეხბურთს ეხება საქმე, ქართულ ჭიდაობას, კარატეს თუ სხვას, ისინი ეჭვს სამართლიანად ბადებენ. ჩვენ შემთხვევაშიც, საქმის ასე სწრაფად შემობრუნება გვაფიქრებინებს, რომ „წყალქვეშა დინებებთან" გვაქვს საქმე.

**● იმედია, თამაში ამით არ დასრულებულა, კარატისტების მაგალითი გვარწმუნებს, რომ ჩვენ საპასუხო სვლებსაც ვსწავლობთ.**

— რა თქმა უნდა, ასეა — მიზნის მისაღწევად ბრძოლა არც ამჯერად შეგვიწყვეტია. დავიწყეთ უშუალო წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციასთან დასაკავშირებელი არხების ძებნა და დავაზუსტეთ, რომ ამ ფედერაციას ჯერ არ შეურჩევია სხვა ქვეყანა ან ქალაქი ჩემპიონატის ჩასატარებლად. ეს, ცხადია, ჩვენთვის ხელსაყრელი ფაქტორია და გვაიმედებს, რომ ჯერ კიდევ შეიძლება საქმის სასიკეთოდ შემოტრიალება. ამ კონტაქტების შედეგია ისიც, რომ საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებმა გვაცნობეს — აპრილში ჩვენ თვითონ ჩამოვალთ თქვენთან სიტუაციის ადგილზე გასაცნობადო. ველოდებით — ჩამოვიდნენ, ნახონ, დარწმუნდნენ. ჩვენი ეს, ასე ვთქვათ, საპასუხო რეაქცია საკავშირო სპორტსახკომის მიმართულებით მოქმედებასაც მოიცავს — ახლახან რესპუბლიკის სპორტსახკომის ხელმძღვანელობის დავალებით ჩვენი წარმომადგენელი, კერძოდ თავმჯდომარის მოადგილე, ვალერი ლომაძე შეხვდა და ესაუბრა საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილეს ანატოლი კოლესოვს. შეხვედრის შემდეგ წყალსათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის შტაბბინაში გაიგზავნა ასეთი შინაარსის ტელექსი: გთხოვთ, ხელმეორედ განიხილოთ ფოთის საკითხი და გადაწყვეტილება მიიღოთ ამ ქალაქის სასარგებლოდ. მოუთმენლად ველით ფედერაციის წარმომადგენელთა ჩამოსვლას და ტელექსის პასუხს. ველით, რადგან გასაკეთებელი იმდენია, თანხმობა თუ იქნა, წუთით არ უნდა დავახანოთ.

ესაუბრა **თამაზ მიბრიაული.**



# მხოლოდ ღირსეულთ...

(დასასრული)

ვრმა გალინა ტომიაკმა. მეორე და მესამე ადგილები ქართველმა სპორტსმენებმა თეა ჩანტლაძემ და ლელა მარგიშვილმა დაიკავეს. ჩანტლაძეს თავისებური რეკორდიც ეკუთვნის: მან ექვს წამში დაამარცხა მეტოქე.

48 კგ-ში ოქსანა ხარჩენკომ სძლია პოლონელ აგნეშა კუპრიაშევიჩს. მესამე ადგილი წილად ხვდა ჟანა ირსბედიანს.

საქართველოს ძიუდოისტებმა უკვე 11 მედალი მოიპოვეს (შვიდი ჭაბუკებმა და ოთხი — გოგონებმა), მათ შორის ორი ოქროსია.

გავესაუბრეთ ტურნირის მთავარ მსაჯს ბიძინა მაზიაშვილს, რომელმაც თქვა:

— მასპინძლები პირველი დღის შედეგებით კმაყოფილნი უნდა იყვნენ. განსაკუთრებით მინდა გამოვყო გიორგი ვაზაგაშვილი და გოგი იოსელიანი. ორივე ჭაბუკი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „გამზადებულია" დიდი სარბიელისათვის. მაგრამ წლევანდელი ტურნირის მიზანი მხოლოდ ახალგაზრდა ძიუდოისტების მოსინჯვა არ იყო. უნდა გაიზარდოს ტურნირის ავტორიტეტი, მისი დონე; ამისათვის რაც შეიძლება მეტი უცხოელი სპორტსმენი უნდა გამოდიოდეს. სამწუხაროდ, ამ მხრივ გარკვეული შეცდომებია დაშვებული. კერძოდ, ძალზე მრავალრიცხოვანი შემადგენლობით ასპარეზობენ საქართველოს და საბჭოთა კავშირის გუნდები — შესაბამისად 150-დან 200-მდე სპორტსმენით. ხოლო უცხოეთის 6 ქვეყანა 60 მოჭიდავით არის წარმოდგენილი. შეუსაბამო თანაფარდობაა. ამით უცხოელ ფალავნებს ვაიძულებთ ამტვრიონ „საბჭოური ცხრაკლიტული". სტუმარს სტიმული (და არა შეღავათი) უნდა მისცე, რათა ხელმეორედ გეწვიოს ტურნირზე. ანალოგიური მდგომარეობაა გოგონებშიც. 60 მონაწილედან 26 საქართველოს, 30 — საბჭოთა კავშირის ნაკრების წარმომადგენელია, დანარჩენი კი — სტუმართა გუნდებისა.

ამ შეცდომას უთუოდ, გათვალისწინება უნდა, რათა მომავალში ჩვენი სპორტსმენებიდან მხოლოდ ღირსეულთა შორის ღირსეულნი გამოვიდნენ ასპარეზობაში.

**გუშინ გამოვლინდნენ ტურნირში გამარჯვებულები და პრიზიორები, როგორც ვაჟთა, ასევე გოგონათა შორის.**

**ვაჟები:** 62 კგ 1. რ. მხეიძე, 2. გ. ბაიაძე, 3. რ. ზედგენიძე (სამივე — საქართველო), 3. ს. ნიკიტინი (სსრკ). 68 კგ 1. კ. სავუშკინი (სსრკ), 2. ზ. ალექსიშვილი. 3. ა. ლვინიაშვილი, ს. იაშვილი (სამივე — საქართველო). 75 კგ 1. დ. მოროზოვი (სსრკ), 2. თ. ოქროსაშვილი, 3. მ. ბოტკოველი, გ. შარიაშვილი (სამივე საქართველო).

**ქალები:** 51 კგ 1. ს. ხამუხინა, 2. ა. მინკოვსკაია, 3. ი. შუკინა, ო. პირიმჩუკი (ყველა — სსრკ). 54 კგ 1. ნ. ჩორგოლაშვილი (საქართველო), 2. ნ. კრასნაია, 3. ს. მაშაროვა (სსრკ), ლ. გრიგოლაშვილი (საქართველო). 57 კგ 1. მ. პორავსკა (პოლონეთი), 2. ი. კოზლოვა, 3. ი. პიერს, ზ. ხაჩატურიანი (სამივე — სსრკ), 61 კგ 1. ნ. მირუაშვილი (საქართველო), 2. ს. შამსუდინოვა (სსრკ), 3. რ. ზიარნო (პოლონეთი), ს. მაქსიმიუკი (სსრკ).

**ლევან ჯავახიშვილი**

# კონტაქტები გაფართოვდება

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა დედაქალაქის მედიკოს-მოჭადრაკეთა პირველობა. ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის სხვადასხვა თაობის მოჭადრაკე ექიმები — სულ 11 კაცი.

შეჯიბრება საკმაოდ უშეღავათოდ წარიმართა და დამთავრდა ახალგაზრდების დამაჯერებელი გამარჯვებით: I ადგილი შედეგით — 9 ქულა 10 შესაძლებლიდან — წაუგებლად მოიპოვა სამედიცინო ინსტიტუტის V კურსის სტუდენტმა დავით ლობჟანიძემ. გამარჯვებულს 0,5 ქულით ჩამორჩა ახალგაზრდა ექიმი ირაკლი ჩაჩუა. III-IV ადგილები 7,5-7,5 ქულით გაიყვეს დავით წერეთელმა და ზაზა აბრამიძემ. მომდევნო ადგილებზე არიან დოცენტები ზურაბ ჩაჩუა (5,5 ქულა) და რევაზ სიგუა (5 ქულა), ყველა ოსტატობის კანდიდატია. VII ადგილი წილად ხვდა პირველთანრიგოსან პროფესორს გივი წიწუაშვილს.

ტურნირი მიეძღვნა საქართველოს მედიკოს-მოჭადრაკეთა ასოციაციის დაარსებას, რომლის პროგრამა ითვალისწინებს რესპუბლიკის ჭადრაკის მოყვარული ექიმების საზოგადოებრივი კავშირის შექმნასაც და სპორტული კონტაქტების დამყარებას სხვა რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის მედიკოს-მოჭადრაკეებთან.

**ზურაბ ჩაჩუა.**

# ზოგი რამ საექიმო პრაქტიკიდან

**უკვე** შვიდი წელია, რაც „ცარიელი ხელების მეთოდით", ანუ ე. წ. „ბიოდენებით" ვმკურნალობ. ამ ხნის მანძილზე ვინ არ მოსულა ჩემთან: მუშა, მღვდელი, გამყიდველი, გადამყიდველი, ექიმი, ვექილი, რაიკომის მდივანი, მწერალი, ქურდი, სოციალისტური შრომის გმირი... რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, სიცოცხლე და ჯანმრთელობა ყველას ერთნაირად უყვარს (ყოველ შემთხვევაში უნდა უყვარდეს).

როგორი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს ჯანმრთელობისადმი? რასაკვირველია მხოლოდ კარგიო, პირველკლასელი ბავშვიც კი გვიპასუხებს. თურმე ასე არ ყოფილა. შეიძლება გაოცდეთ და ზოგი კაცი (ქალიც) გულმოდგინედ ანადგურებს საკუთარ ჯანმრთელობას.

ათობით, ასობით და ათასობით ავადმყოფთან ურთიერთობამ უნებლიედ დამანახა ერთი მეტად საინტერესო და უცნაური დეტალი. აი, მაგალითად:

1000-დან 996 რუსი საკუთარ ჯანმრთელობას პარტიულ მანდატზე მეტი რუდუნებით უფრთხილდება, რუსმა შეიძლება ოჯახს უღალატოს, ცოლშვილს (სამშობლოსაც) ჯანმრთელობის დაცვის პრინციპებს კი ფურას უკაცრავად. ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარე, ექიმის მითითების მიხედვით, არაყსაც კი აიკრძალავს (რასაკვირველია, დროებით). რუსს რომ ფრჩხილი წამოსტკივდება, ექიმთან გარბის. რა თქმა უნდა, აქამდე არ მიიყვანს საქმეს, ვინაიდან თავისუფალ დროს მოიხელთებს თუ არა ზურგჩანთას წამოიკიდებს და მწვანე ბილიკებს ჰაუდგება, დილ-დილობით ვარჯიშობს, დარბის, ტანს იზელს. ჩვენ კი ქართველებს (ეს რასაკვირველია, ყველას არ ეხება) სირბილი სულ ცოტა ორი ინფარქტის შემდეგ გვახსენდება და კუს ტბას მივაშურებთ, უფრო სწორად აგვიტანენ ხოლმე კუს ტბაზე. აქედან იწყება ლასლასი, რომელიც ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ თავგანწირულ ძუნძულში გადადის. ალბათ, კუს ტბას, კუს ტბა კი არა საკუთარი ჯანმრთელობის დამტაცებელთა ვარჯიშ-გამასწორებელი დროებითი კოლონია უნდა ეწოდოს. დროებითი, ვინაიდან ჯანმრთელობის ეს გამფლანგველები ოდნავ გაუმჯობესების შემთხვევაში ისევ ხელგაშლილ ცხოვრებას იწყებენ, რაც საკუთარი ჯანმრთელობის მარჯვნივ და მარცხნივ ფლანგვაში გამოიხატება.

ადრე 1000-დან 996 ქართველი ჯანმრთელობას თუ არა პარტბილეთს მაინც უფრთხილდებოდა...

იმას მოგახსენებდით, რუსს ფრჩხილი წამოსტკივდება თუ არა ექიმთან გარბის-მეთქი. თუ ერთი მკურნალის კვალიფიკაციამ დააეჭვა, მეორესთან გაიქცევა, თუ იქაც განიხიბლა, არ დაიზარებს და კიდევ რამდენიმე პოლიკლინიკას შემოირბენს, ბოლოს ექსტრასენსთანაც მოხვდება. გაოცებს ამათი პუნქტუალურობა და საკუთარი ჯანმრთელობისადმი უანგარო ერთგულება. მკურნალობის პროცესში გაუმჯობესების ყოველ ნიუანსს სიხარულით გამცნობენ, ათჯერ თავს დაგიკრავენ, სხვადასხვა რეკომენდაციებს გულმოდგინედ ჩაიწერენ. საკუთარი ჯანმრთელობისადმი საოცრად ყურადღებიანი და ერთგული რუსის მკურნალობა ზედმიწევნით ადვილია.

ქართველს მაშინ გაახსენდება ჯანმრთელობა, როცა ავადმყოფობა ოთხად მოკაკავს. ექიმთან ისეთ სტადიაში მივა, როცა აბებით მკურნალობაზე ოცნებაც კი ზედმეტია და ყველაზე საუკეთესო ვარიანტს, ქირურგისათვის ნახევარი კუჭის „ჩუქებას" დაყაბულდება (აღარაფერს ვამბობ დაკარგულ ნაღვლის ბუშტებზე, ელენთებზე, თირკმელებზე).

ბუნებით მხარჯველი, ხელგაშლილი ქართველები, ჯანმრთელობასაც ხელგაშლილად ვხარჯავთ. პროფილაქტიკური ღონისძიება დილის ვარჯიში და ძუნძულით სირბილი ეროვნული თავმოყვარეობის შელახვად მიგვაჩნია. ვინ დარბის დილაობით კუს ტბაზე: ნაავადმყოფარი ბატონი გიორგი, ბატონი ნოდარი, ბატონი ჯიმშერი... ან კერკეტი კაკალივით ჯანმრთელი ვასილ ივანიჩი, ივან ვასილიჩი, პიოტრ ნიკიტიჩი.

ასეთი შემთხვევა მქონდა (თუმცა, ეს შემთხვევა გამონაკლისი არ არის) წარსულში ცნობილი ქართველი სპორტსმენი, უკვე 60 წელს მიღწეული კაცი, ჩემთან მწვავე კუჭისწყლულით მოიყვანეს. კვნესოდა, კაცის ფერი არ ედო, იუმორის გრძნობა დაკარგვოდა. შვიდი სეანსის შემდეგ, წელში გასწორდა, ტკივილის სინდრომები მთლიანად გაუქრა, ფერი და იუმორი დაუბრუნდა. იხუმრა — შაბათს ძმიშვილის დაბადების დღეზე უნდა ვითამადოო.

მეცხრე სეანსის შემდეგ ის კაცი აღარ გამოჩენილა. გავიდა ორი კვირა და ყოფილი სპორტსმენი ისევ მოვიდა, უფრო სწორად მოასვენეს (თურმე მართლა უთამადია) — ოღონდ ახლა მიშველე და ბორჯომის და ლაღიძის წყლის მეტს აღარაფერს დავლევო. მეცხრე სეანსზე ისევ გაუქრა ტკივილი... არა, თამადობა აღარ გაუბედია, ბოლომდე იმკურნალა და ახლაც კარგად არის, ყოველდღე ვარჯიშობს კუს ტბაზე.

დავით ბაგრატიონის მიერ XVI საუკუნეში დაწერილი „იადიგარ დაუდში" ვკითხულობთ:

„და ეს უნდა იცოდეთ, რაიმე ყოვლისა სახსრისა და ყოვლის ასოსა თავი და მთავარი ხელმწიფე და საძირკველი ტვინი და დამალი, გული და ღვიძლი არის... და ეს სამი ასო ასრე მთლად და ხელშეწყობით შეინახოს და ასრე ხელშეწყობით ამყოფონ, რომე ყოვლისა ქარისა და ხილთისაგან ასრე გაწმედით შეინახონ, რომე ამა სამისა ასოსაგან სამივ მთლად, ძალიანად და უპირველად იყოს, რომე არ დაჰკნენ". დავით ბაგრატიონი მეთექვსმეტე საუკუნიდან მოგვძახის უმთავრეს ორგანოებს, თავის ტვინს, გულს და ღვიძლს გაუფრთხილდითო. სამწუხაროდ, დავით ბაგრატიონის მიერ 400 წლის წინანდელ ნათქვამს კი არა, ჩვენი ჯანმრთელობის მინისტრის გუშინდელი რჩევაც კი აღარავის ახსოვს, რომ ჯანმრთელობის გარეშე არ იქნება არც ჰირი და არც ლხინი, მითუმეტეს ვინ იცის, რამდენი ჰირი და ლხინი მოგველის ქართველებს.

მომიტევეთ ზოგიერთი ულმობელი შედარებისათვის, თუმცა არც რუსებისა მშურს საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ ასეთი ერთგულები რომ არიან და არც ვინმეს გაქილიკება მწადია. მე, უბრალოდ გული შემტკივა თქვენზე, ჩემზე, ჩემს დებსა და ძმებზე, მამებსა და დედებზე, ასეთი დონდლონი და უფორმონი რომ ვართ. ალკოჰოლიზმი თითქოს რუსების პრობლემაა და ჩემთან კი ამდენი ალკოჰოლური ინტოქსიკაციით გამოწვეული ვეგეტონევროზიანი ქართველი კი მოდის სამკურნალოდ. ეს საჩოხე ბიჭები სულმთლად გადავგვარდით, სიმსუქნემ ლამის არის სუნთქვა შეგვიკრას და საკუთარ ქონშივე დაგვახრჩოს, ჩვენივე ეგო ცხვრებივით მიგვერეკება გილიოტინაზე, ინფარქტი და ინსულტი ფეხდაფეხ მოგვდევს. მე გული შემტკივა, ჩალის ფასადაც რომ არ გვიღირს საკუთარი ჯანმრთელობა. ამოდენა საქმეს შევჭიდებივართ და შერყეული ჯანმრთელობით კი ვაპირებთ გამარჯვების მოპოვებას!

მთელი ევროპა დარბის, მთელი ამერიკა დარბის... ალბათ არის სირბილში რაღაც ყოვლის შემძლე, ჰოდა, ჩვენც ვირბინოთ, ვისზე ნაკლებნი ვართ?!

ქართველი რომ იბრძოდა და იმარჯვებდა, იმიტომ, რომ გონებასთან ერთად მუხლიცა და მკლავიც უჭრიდა.

**თამაზ [illegible]შვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ცხუმი“ — სოხუმის ახალი საფეხბურთო გუნდი

ფეხბურთის მოყვარულებმა, ალბათ, უკვე იციან, რომ სოხუმის „დინამოს“ 8 წამყვანმა ფეხბურთელმა, მეორე მწვრთნელმა, ადმინისტრატორმა, ექიმ-მასაჟისტმა და კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა დატოვეს დინამოელთა რიგები, ვინაიდან არ დაეთანხმნენ სოხუმში 17 მარტს გამართული საფეხბურთო კონფერენციის გადაწყვეტილებას სსრ კავშირის პირველობაზე სოხუმელთა გუნდის მონაწილეობის თაობაზე.

ამ ფეხბურთელებს სურთ მონაწილეობა მიიღონ საქართველოს პირველ ეროვნულ ჩემპიონატში, ამიტომაც თხოვნით მიმართეს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტს ამ უმაღლესი სასწავლებლის სპორტკლუბის ბაზაზე შეიქმნას ახალი საფეხბურთო გუნდი, რადგან ფეხბურთელთა ნაწილი ინსტიტუტის სტუდენტები ან კურსდამთავრებულნი არიან.

ამ ინსტიტუტის გუნდი საკმაო ხანია საქართველოს პირველობაზე გამოდიოდა. ინსტიტუტის გარდა კიდევ ორმა ორგანიზაციამ — სოხუმის სამრეწველო გაერთიანება „ორგტექნიკამ“ და სოხუმის ქიმიურმა ქარხანამ სურვილი გამოთქვეს ახალი გუნდის სპონსორები იყვნენ.

შედგა კრება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ნ. ქარჩავაძე. აირჩიეს ახალი კლუბის საბჭო, მისი პრეზიდიუმი, რომელსაც სათავეში უდგას ცნობილი მხაჯი გ. გაბისკირია, ვიცე-პრეზიდენტია ნ. კაკულია. ახალი გუნდის მთავარი მწვრთნელია ი. ქოიავა; მას ეხმარებიან ნ. ბოჭგუა და ა. პაპავა.

კრებაზე განიხილეს საკითხი ახალი კლუბის სახელწოდების შესახებ, გადაწყდა მას დაერქვას „ცხუმი“.

დამტკიცდა კლუბის წესდება, „ცხუმი“ საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ჩაატარებს სოხუმის ცენტრალურ სტადიონზე.

კრებას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ვ. ავიძე, აფხაზეთის სპორტსაკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. ზუხბაია, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი და სხვანი.

**თენგიზ პაპაორია,**
„ლელოს“ საკ. კორ.

# ჰოლანდიელები უვარსკვლავებოდ...

**28 მარტს** კიევში დანიშნულია ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდები.

ეს მეტად საინტერესო მატჩია, რომელსაც დიდი ინტერესით მოელიან საერთაშორისო საფეხბურთო წრეები: ჰოლანდიელებმა ბოლო ევროპის ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავეს, ხოლო სსრ კავშირის ნაკრებმა — მეორე.

იმ ფეხბურთელთაგან, რომლებიც ჰოლანდიის ნარების მწვრთნელმა ტ. ლიბრეგტსმა კიევში გასამგზავრებლად შეარჩია, რამდენიმე მონაწილეობას ვერ მიიღებს თამაშში, კერძოდ, რუუდ გულიტმა და ზოგიერთმა სხვა ფეხბურთელმა განაცხადეს, რომ ძალზე დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებიან თავიანთ მწვრთნელთან, მათ შორის არიან მარკო ვან ბასტენი და ფრენკ რაიკაარდი, რომლებიც იტალიის „მილანში“ გამოდიან, აგრეთვე, იონი ბოსმანი და გრემ რუტიესი (ორივე — „მეჰელენი“). მათ განაცხადეს, რომ თავიანთ კლუბებში რეკომენდაცია მიიღეს არ გამოვიდნენ ამ შეხვედრაში.

ტ. ლიბრეგტსმა გამოაცხადა, რომ ამ ფეხბურთელთა ნაცვლად კიევში ჩაიყვანს იონი ვან ლოენს, ჰენკ ფრეზერს, მარტინ ლაამერსს, რომლებსაც სულ რამდენიმე თამაში აქვთ ჩატარებული ჰოლანდიის ნაკრებში.

# რუმინული ფეხბურთის „სამართალი“

**„ჩაუშესკუს** ეპოქის რუმინული ფეხბურთი სპორტის ისტორიაში არნახული, უპრეცედენტო კორუფციის ჭაობი იყო, საშინელი და ყოვლისმომცველი. ეროვნულ ჩემპიონატში, რომელიც ფაქტიურად მარიონეტების აბსურდულ თეატრად იქცა, მთავარი „მოქმედი პირები“ იყვნენ დიქტატორის ძმა და სამხედრო პოლიტორგანოების ხელმძღვანელი ილიე ჩაუშესკუ, შინაგან საქმეთა მინისტრი ტუდორ პოსტელნიკუ და მილიციის შეფი კონსტანტინ ნუცე“. ეს განცხადება, რომელიც რუმინეთის სპორტის მინისტრის ახალდანიშნულმა მოადგილემ კორნელი დინუმ გააკეთა, ბევრისთვის მოულოდნელი არ გახლდათ. ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებას დიდი ხანია ეჭვის თვალით უყურებდნენ. ამის ნათელი მაგალითია, თუნდაც, რუმინელი ბომბარდირების ფენომენალური შედეგები კონტინენტის პრესტიჟული, „ოქროს“, „ვერცხლისა“ და „ბრინჯაოს ბუცის“ პრიზებისთვის „ბრძოლაში“.

კორნელი დინუ საკმაოდ საიმედო წყაროა, რადგანაც ამ 42 წლის კაცის ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული ფეხბურთთან: იგი რეკორდსმენია ქვეყნის ნაკრებში ნათამაშები მატჩების მიხედვით (75), იყო ნაკრების კაპიტანიც. დინუ საკმაოდ ღრმად ჩახედულია ეროვნული ფეხბურთის საქმეებში და არამც და არამც არ მიეკუთვნება იმათ რიცხვს, ვინც მხოლოდ რევოლუციის შემდეგ „ალაპარაკდა“. მან ჯერ კიდევ 1985 წელს გაილაშქრა საფეხბურთო ტერორის წინააღმდეგ და მყისვე დაისაჯა ამის გამო.

70-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული რუმინულ ფეხბურთში, ისეთი მანიპულაციები ხდებოდა, რომლებსაც საერთო არაფერი ჰქონდათ ფეხბურთთან. უმაღლესი ლიგის გუნდების კალენდარული მატჩების უმეტესობა წინასწარ დადგმული სცენარის მიხედვით თამაშდებოდა, უკვე ჩემპიონატის დაწყებისთანავე განსაზღვრული იყო, რომელ გუნდებს უნდა ეთამაშათ შემდგომში ევროპულ ტურნირებში. თუ თავიდან ყველაფერი ფულით კეთდებოდა — ქრთამავდნენ ფეხბურთელებს, მსაჯებს, სპორტულ ფუნქციონერებს, შემდგომში პირველ პლანზე ლია შანტაჟმა და პოლიტიკურმა ზეწოლამ გადაინაცვლა.

80-იან წლებში ერთმანეთს უკვე გუნდები კი არა, უწყებები ეჯიბრებოდა. ძირითადი კონკურენტი აქ ორი იყო: თავდაცვის სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის საიდუმლო სამსახურთან — „სეკურიტატესთან“ ერთად. თუ არმია 3-4 გუნდს აკონტროლებდა, „სეკურიტატეს“ ხელში 9-10 კლუბი იყო. რა თქმა უნდა, ორივე უწყებას ჰყავდა თავისი ფავორიტი. ესენი იყვნენ ევროპის ჩემპიონთა თასისა და სუპერთასის მფლობელი ბუქარესტის „სტიაუა“ და რუმინეთის დედაქალაქის მეორე გუნდი „დინამო“. ალბათ, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ ორ კლუბთან გათანასწორება არავის შეეძლო, რადგანაც მათ ზურგს უკან დიდი ძალები იდგა. ახლა უკვე გასაგებია იმ არნახული მიღწევების ტექნოლოგია, რომლებსაც განცვიფრებაში მოჰყავდა უცხოელი სპეციალისტები. წლების განმავლობაში ამ ორი გუნდისთვის ფრე და დამარცხება დიდი იშვიათობა იყო. მდარე, უინტერესო ჩემპიონატში მხოლოდ ამ ორი კოლექტივის უშუალო შეხვედრის შედეგი არ იყო განსაზღვრული წინასწარ.

თუმცა, ბოლო ხანს აქაც იჩინა თავი ერთგვარმა „სიახლემ“: ფეხბურთის მართვის სადავეები ხელში ჩაიგდო რუმინეთის „პირველმა ლედიმ“ ელენა ჩაუშესკუმ.

„მმართველობის“ ამ ახალი ფორმის ნათელი მაგალითი გახლდათ 1988 წლის ფინალური მატჩი ქვეყნის თასის გათამაშებაში. ერთმანეთს, რა თქმა უნდა, ძველი ნაცნობები „სტიაუა“ და „დინამო“ ხვდებოდნენ. მატჩის მეორე ტაიმში არმიელებმა პროტესტი გამოთქვეს მათს კარში გასული გოლის გამო და მინდორი დატოვეს. მსგავსი დემარშის დროს, წესით, გუნდს დამარცხება ეთვლება, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ყველაფერი ეს რუმინეთში ხდებოდა. „სტიაუას“ თავგადადებულმა გულშემატკივარმა, ქვეყნის მმართველის ერთ-ერთმა შთამომავალმა ვალენტინ ჩაუშესკუმ და მისმა ბიძამ ილიემ „სამართლისათვის“ ქალბატონ ელენა ჩაუშესკუს მიმართეს. რა თქმა უნდა, „სამართალმა პური ჭამა“ და „სტიაუა“ თასის მფლობელად გამოცხადდა.

რაც შეეხება თავად ფეხბურთელებს, ამ „თამაშში“ მონაწილეობისთვის ისინი საკმაოდ დიდ გასამრჯელოს იღებდნენ. კორდელი დინუს ცნობით, საუკეთესო სპორტსმენები ქვეყნის უმდიდრესთა რიგში იყვნენ. „სტიაუასა“ და „დინამოს“ წამყვანი ფეხბურთელები ყოველთვიურად 150 ათას ლეის იღებდნენ. ეს თანხა 50-ჯერ აღემატებოდა მუშის ხელფასს. არც სხვა ფეხბურთელები იყვნენ უყურადღებოდ მიტოვებული. მათი ყოველთვიური „ჰონორარები“ 15-20 ათას ლეის უდრიდა. გარდა ამისა, სპორტსმენები მოგზაურობდნენ საზღვარგარეთ, საიდანაც გასაყიდად ჩამოჰქონდათ დეფიციტური საქონელი. ამაში მათ არავინ უშლიდა ხელს.

თუმცა, მოდით, მათაც ნუ გავამტყუნებთ ხელაღებით, ისინი უკიდურესად მკაცრ პირობებში იყვნენ ჩაყენებული. მათთვის გამორიცხული იყო საზღვარგარეთული კონტრაქტები, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის ბევრი ცნობილი კლუბის ინტერესის საგანს წარმოადგენდნენ. ოფიციალურად ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, ქვეყნიდან გაქცევას კი ბევრი ერიდებოდა ახლობლების მოსალოდნელი რეპრესიების შიშით. მიუხედავად ამისა, „განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებელი ქვეყნიდან“ ლტოლვილთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა.

ასე გაიქცა, მაგალითად, შარშან, იუგოსლავიაში „სტიაუასა“ და ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი მიოდრაგ ბელოდედიჩი, რომელმაც ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“.

როგორ უყურებდნენ ყველაფერ ამას გულშემატკივრები? უმეტესობა ხვდებოდა, რომ მათ ატყუებდნენ, თუმცა რუმინელებს ყველაფერში ატყუებდნენ, წესი იყო ასეთი. მეორე მხრივ, ჩაუშესკუს დინასტია ხალხს მაინცდამაინც არ ანებივრებდა სანახაობებით და ამიტომაც ფეხბურთი, ამგვარიც საკმაო მაყურებელს იზიდავდა. გარდა ამისა, სტადიონი იყო ერთადერთი ადგილი, სადაც თავისუფლად შეიძლებოდა ემოციების საჯაროდ გამოხატვა.

მრავალწლიან „სპექტაკლს“, როგორც მოსალოდნელი იყო, სავალალო შედეგები მოჰყვა. „ფეხბურთის სისტემა რუმინეთში ნულოვან ნიშნულზე აღმოჩნდა“ — ამბობს სპორტის ვიცე-მინისტრი დინუ. თუმცა, ბოლო ხანს გაჩნდა ოპტიმიზმის საფუძველი: გუნდები აღარ ექვემდებარებიან სხვადასხვა უწყებებს. ბუქარესტის „დინამომ“ თხოვნით მიმართა უეფა-ს სახელწოდების შეცვლის თაობაზე. ამიერიდან მას „უნირია ტრიკოლორი“ ეწოდება. ეროვნული ხსნის კომიტეტმა „ჩაუშესკუს რეჟიმთან მჭიდრო კავშირისთვის“ დაშალა ბუქარესტის „ვიქტორია“, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკუთვნოდა (ამ გუნდს საკმაოდ კარგად იცნობს თბილისელი გულშემატკივარი). იგივე ბედი ეწია ქალაქ პიტეშტის „ოლტის“. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ რუმინული ფეხბურთის პროფესიულ რანგში აყვანა პატიოსანი თამაშის გარანტიას იძლევა.

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ რუმინელები აღარ ითამაშებენ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში. „ფიფა რუმინელებს არ გარიცხავს მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა რიგებიდან“ — განაცხადა საერთაშორისო ფედერაციის პრეს-შეფმა გვიდო ტონიონიმ. ეს სამართლიანი გადაწყვეტილებაა. საერთაშორისო სარბიელზე, სადაც დიქტატურის გავლენა არ ვრცელდებოდა, რუმინელი ფეხბურთელები თავისუფლად და პატიოსნად თამაშობდნენ.

პუბლიკაცია მოამზადა
**გიორგი ქორქიაშ**

ITALIA'90

**სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები ემზადებიან 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშებისთვის.**

● **ბუდაპეშტი.** ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა აქ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა უნგრეთის გუნდთან. გაიმარჯვეს უნგრელმა ფეხბურთელებმა — 2:0, ბურთები გაიტანეს პეტრეშმა და ლიმპერგერმა.

● **ლოს-ანჯელესი.** აქ ერთმანეთს შეხვდნენ ურუგვაისა და მექსიკის ნაკრები გუნდები, თამაში მოიგეს მექსიკელმა ფეხბურთელებმა — 2:1. მექსიკელთაგან ბურთები გაიტანეს დავალოსმა და პელეასმა, ურუგვაელთაგან — სუარესმა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მე-15 წუთისთვის ანგარიში უკვე იყო 2:1.

**ჯორჯ ბუში — სტუმრად**

1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ თამაშებზე მოელიან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს. საამისო მიწვევა პრეზიდენტს უკვე გაუგზავნა იტალიის პრემიერ-მინისტრმა ჯულიო ანდრეოტიმ.

ჯ. ბუშმა მიწვევა მიიღო და თუ იგი იტალიაში ჩავა, ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა ამერიკის პრეზიდენტი დაესწრება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ თამაშებს.

**მწვრთნელი მწვრთნელს ცვლის**

არაბეთის გაერთიანებული ემირატების საემიროების ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ბრაზილიელი მარიო ზაგალო სულ რაღაც ორიოდე თვის წინ შეცვალა პოლონელმა ბერნარდ ბლაუტმა. ეს მცირე დროც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ბ. ბლაუტიც შეეცვალათ იმის გამო, რომ მისი გუნდი ძალზე სუსტად გამოვიდა სპარსეთის ყურის თასის გათამაშებაში.

არაბეთის გაერთიანებული საემიროების ფეხბურთის ფედერაციამ სულ ახლახან გამოაცხადა, რომ ნაკრებს სათავეში ჩაუდგება ცნობილი ბრაზილიელი სპეციალისტი კარლოს ალბერტო.

კ. ალბერტომ 1982 წელს კუვეიტის ნაკრები ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გაიყვანა.

**სადოპინგო კონტროლი**

იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ მეოთხედფინალურ მატჩებამდე ყოველი გუნდის ორორი ფეხბურთელი გაივლის სადოპინგო კონტროლს, ხოლო ნახევარფინალებში და ფინალში — სამ-სამი.

**ვალდანო მწყობრში ჩადგება**

პოპულარული არგენტინელი ფეხბურთელი ხორხე ვალდანო ტრავმის გამო საკმაო ხანია არ გამოდის მინდორზე. მადრიდის „რეალის“ ექიმებმა ამას წინათ გამოაცხადეს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დასაწყისისთვის ხ. ვალდანო მწყობრში ჩადგება.

# მსოფლიო ჩემპიონატების ცხრილი

**იუპი-ს** სააგენტომ გამოაქვეყნა ფეხბურთში ყველა გასული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირების მონაწილე გუნდების მატჩების ნაერთი ცხრილი. სვეტებში პირველი ციფრები აღნიშნავენ ნათამაშები მატჩების რაოდენობას, მერე — მოგებულ, ფრედ დამთავრებულ და წაგებულ მატჩებს, გატანილ და გაშვებულ ბურთებს, დაგროვილ ქულებს. ფრჩხილებში მინიშნებულია ქვეჯგუფები, რომლებშიც გუნდები ახლა იტალიაში იასპარეზებენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაზილია (3) | 62 | 41 | 11 | 10 | 144-63 | 93 |
| 2. გფრ (4) | 61 | 34 | 13 | 14 | 130-85 | 81 |
| 3. იტალია (1) | 47 | 25 | 11 | 11 | 79-52 | 61 |
| 4. არგენტინა (2) | 41 | 22 | 6 | 13 | 77-55 | 50 |
| 5. ინგლისი (6) | 34 | 15 | 9 | 10 | 47-32 | 39 |
| 6. ურუგვაი (5) | 33 | 14 | 7 | 12 | 59-47 | 35 |
| 7. სსრ კავშირი (2) | 28 | 14 | 6 | 8 | 49-30 | 34 |
| 8. იუგოსლავია (4) | 28 | 11 | 6 | 11 | 47-36 | 28 |
| 9. ესპანეთი (5) | 26 | 11 | 6 | 11 | 37-34 | 28 |
| 10. შვეცია (3) | 28 | 11 | 6 | 11 | 48-54 | 28 |
| 11. ავსტრია (1) | 23 | 11 | 2 | 10 | 38-40 | 24 |
| 12. ჩეხოსლოვაკია (1) | 25 | 8 | 5 | 12 | 34-40 | 21 |
| 13. ჰოლანდია (6) | 25 | 8 | 5 | 12 | 34-40 | 21 |
| 14. ბელგია (5) | 21 | 5 | 4 | 12 | 27-42 | 14 |
| 15. შოტლანდია (3) | 17 | 3 | 6 | 8 | 21-32 | 12 |
| 16. აშშ (1) | 7 | 3 | 0 | 4 | 12-21 | 6 |
| 17. რუმინეთი (2) | 8 | 2 | 1 | 5 | 12-17 | 5 |
| 18. კამერუნი (2) | 3 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 |
| 19. კოლუმბია (4) | 3 | 0 | 1 | 2 | 5-11 | 1 |
| 20. სამხრეთ კორეა (5) | 5 | 0 | 1 | 4 | 4-23 | 1 |
| 21. ეგვიპტე (6) | 1 | 0 | 0 | 1 | 2-4 | 0 |

ირლანდიის (6), კოსტა-რიკის (3) და არაბთა გაერთიანებული საემიროების (4) ნაკრები გუნდები ცხრილში არ არიან შეტანილი იმის გამო, რომ ისინი 1990 წლის ჩემპიონატის დებიუტანტები არიან.

# ყოვლისმხილველი თვალი...

1988 წლის ოქტომბერში მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ტარდებოდა ჰოლანდიისა და გფრ-ს ნაკრებებს შორის.

ჰოლანდიელმა რონალდ კუმანმა გვერდი აუარა მოწინააღმდეგის სამ ფეხბურთელს და მეკარე ბოდო ილგნერთან პირისპირ აღმოჩნდა. გოლი გარდუვალი ჩანდა, მაგრამ ბოლო წამს კუმანი შეცდა.

ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ ჰოლანდიელი ფეხბურთელი მეკარესთან პირისპირ გავიდა?

დღეს გერმანიაში არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია აბსოლუტურად ზუსტი პასუხი გაგვცეს ამ და სხვა ამგვარ რთულ კითხვებზე. მისი სახელია ვალდემარ ვინკლერი, იგი გიოტინგენის უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომელია.

ვინკლერმა ზემოთ აღწერილი ეპიზოდის რეკონსტრუქცია მოახდინა და დაასკვნა, რომ ყველაფერში დამნაშავეა გფრ-ს ნაკრების სამი მცველი, რომლებმაც უხეში შეცდომები დაუშვეს: ჰესლერმა უყურადღებოდ დატოვა „თავისი“ ფეხბურთელი, ბუხვალდმა ვერ მოასწრო გადაცემის ჩაჭრა, ხოლო ბერთოლდი ტექნიკურად არასწორად ცდილობდა მოწინააღმდეგისთვის ბურთისართმევას.

ვინკლერის მეთოდი ვიდეოგადაღებების კომპიუტერულ დამუშავებას ეფუძნება. ორი ვიდეოკამერა იღებს არა მხოლოდ იმ მონაკვეთებს, სადაც ბურთისთვის ბრძოლა მიმდინარეობს, არამედ აბსოლუტურად ყველაფერს, რაც მოედანზე ხდება. შემდეგ იწყება ეგრეთწოდებული კოდირება დროის მიხედვით, ესე იგი ეგმ-ში შეჰყავთ ყველა კადრი მისი ქრონომეტრაჟითურთ. მწვრთნელს საშუალება ეძლევა უკვე შესვენებაზე დაეყრდნოს 22 უჯრედის (ორივე გუნდის ფეხბურთელთა რიცხვის მიხედვით) მქონე „დოსიეს“, რათა ფეხბურთელს აჩვენოს თამაშის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ეპიზოდები, სადაც კარგად ჩანს მისი მცდარი თუ სწორი მოქმედება, ან კიდევ — მოწინააღმდეგის მიერ გამოყენებული ტაქტიკური ხერხების თავისებურებანი.

პუბლიკაცია მოამზადეს
**ზაზა კვერცხიშვილმა** და
**კოტა ბრეგვაძემ**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

**გუშინ თბილისის ბავშვთა კალათბურთის სახახლეში (ვერის ბაღში)** გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა კალათბურთში. თბილისის „დინამო" მასპინძლობდა ტალინის „კალევს". ანგარიშით 81:76 (28:51) გაიმარჯვეს ესტონელმა კალათბურთელებმა.

განმეორებითი შეხვედრა გაიმართება დღეს, 19 საათზე.

# დანი მანინგი

იგი ამერიკის სტუდენტური კალათბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავი იყო. აჰარბებდა ესპანური ჟურნალი „სუპერბასკეტი", როდესაც მანინგს სახელგანთქმულ „მეჯიკ" ჯონსონს ადარებდა. მაგრამ მისი თამაში პროფესიონალებში ნათქვამის დასტური უნდა იყოს.

დანი მანინგი წლების განმავლობაში ბრწყინავდა კანზასის უნივერსიტეტის გუნდში. მის სახელთანაა დაკავშირებული ამ უნივერსიტეტის ყველაზე დიდი წარმატებები. როგორც ერთსულოვნად აღნიშნავენ მიმომხილველები, 1988 წელს კანზასის უნივერსიტეტის გამარჯვება აშშ-ს სტუდენტთა ჩემპიონატში (ნკკა) დიდად განაპირობა დანი მანინგის ბრწყინვალე თამაშმა. ფინალურ მატჩებში ის იყო გუნდის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე და ნამდვილი ლიდერი.

სპეციალისტები მანინგს ასე ახასიათებენ: „იგი კალათბურთელადაა დაბადებული, მისი ინდივიდუალური ტექნიკა ძალიან მაღალია, მიუხედავად სიმაღლისა 2 მ, 10 სმ, ის არის ჭეშმარიტი უნივერსალი, რომელსაც შეუძლია წარმატებით ითამაშოს სამივე ამპლუაში (მცველი, თავდამსხმელი, ცენტრი). მანინგი კანზასელთა ლიდერია და მისი მონაწილეობა სეულის ოლიმპიადაში არავითარ ეჭვს არ იწვევს. უკვე 1984-85 წლებში მანინგი წლის საუკეთესო კალათბურთელად (ვარსკლავად) აღიარეს". მან დაამთავრა კანზასის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების ფაკულტეტი.

შეიძლება ითქვას, რომ დ. მანინგმა სეულის ოლიმპიადაზე ამერიკელთა იმედები მთლიანად ვერ გაამართლა. ყოველ შემთხვევაში, ორი აზრი არ არსებობს იმის თაობაზე, რომ იგი ოლიმპიური ტურნირის გამოკვეთილი ვარსკვლავი არ ყოფილა. განსაკუთრებით სუსტად ითამაშა მან პრინციპული მატჩი საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ.

როგორც ესპანური ჟურნალი „სუპერბასკეტი" აღნიშნავს, მანინგის ოცნება იყო „ლოს-ანჯელეს ლეიკერსში" თამაში. მან ეს სურვილი მხოლოდ ნაწილობრივ აისრულა. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ მართალია, მანინგი მოხვდა ლოს-ანჯელესში, მაგრამ არა სახელგანთქმულ კლუბში, არამედ ამ ქალაქის მეორე გუნდ „კლიპერსში". ჯერჯერობით იგი პროფესიონალებში ისე ვერ ბრწყინავს და კალათბურთის ეროვნული ასოციაციის სუპერვარსკვლავთა შორის არ იხსენიებენ, მაგრამ ეს მხოლოდ ჯერჯერობით. რა იქნება მომავალში, ძნელი სათქმელია. მანინგი ან ათამაშდება მთელი ძალით, ან, შესაძლოა, ევროპას მიაშუროს.

**მერაბ კალანდაძე.**

## ინფორმაცია

● **ციმბირში** ბურთიანი ჰოკეი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა და მას, როგორც წესი, ურიცხვი გულშემატკივარი ჰყავს. მაგრამ სიკტივკარში მაყურებელთა წახალისების მიზნით ახალ ფორმებსა და საშუალებებს პოულობენ. წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: გულშემატკივარი საყვარელი გუნდის თამაშის სანახავად მოვიდა, ისიამოვნა კიდეც შეხვედრის შედეგით, მატჩის დამთავრების შემდეგ კი მას საჩუქრად... ახალი ბინის ორდერი გადასცეს. თითქოს ზღაპარია, მაგრამ სპორტული ლატარიის დებულება ერთ ასეთ საჩუქარსაც ითვალისწინებს...

● **ეს დავა** დიდი ხანია გრძელდება: მიზანშეწონილია თუ არა ქალთა შორის ძალოსნობის დანერგვა: ამ დავაში სპორტსმენების, მწვრთნელების, სპეციალისტებისა და სპორტის დარგის მუშაკების გარდა საკმაოდ ცნობილი მეცნიერებიც მონაწილეობენ. მაგრამ ზოგიერთი ქალი კამათის შედეგებს არ ელოდება და საჭირო გადაწყვეტილებას თვითონვე იღებს. ასე მაგალითად, ნოვოსიბირსკში დინამოელმა სვეტლანა ადამმა მონაწილეობა მიიღო იუნიორ ძალოსანთა საკავშირო პირველობაში. 60 კგ წონაში ორჭიდის ჯამში მან 140 კილოგრამი დააგროვა, თავის საკუთარ წონაზე ორჯერ უფრო მეტი. ეს შედეგი მსაჯებმა დააფიქსირეს, როგორც ქალთა პირველი საკავშირო რეკორდი.

## „სპორტპროგნოზი"

**ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების გათამაშების მეოთხედფინალური მატჩების საპასუხო შეხვედრებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები (20-22 მარტი)**

1—X, 2—2, 3—1, 4—2, 5—X, 6—X, 7—2, 8—X, 9—2, 10—2, 11—X, 12—2, 13—2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე —. შედეგს.

## საჭადრაკო კომპოზიცია

# შეადგინეთ ამოცანა!

**საჭადრაკო** ამოცანის შედგენა, ისევე როგორც კროსვორდის, თავსატეხი ამოცანის (და როგორც ლექსების თხზვა), ბევრ ჩვენთაგანს უცდია. ეს მისასალმებელი და ბუნებრივი სწრაფვაა, ვინაიდან ყოველ პიროვნებას ქვეცნობიერად უზის თვითგამოხატვის, თვითდამკვიდრების სურვილი. საზოგადოება კი უნდა ცდილობდეს, თავის წევრებს თავისუფალი სასიკეთო არჩევანის და მოქმედების პირობები შეუქმნას.

კომპოზიციების შექმნის პროცესი სპეციფიკური, საკმაოდ რთული და საინტერესოა, ამასთან, მეტად აზარტულიც. დამწყებ პრობლემისტებს გვინდა ვურჩიოთ, რომ ჩანაფიქრის განხორციელებაზე მუშაობა უფრო გაიოლდება და ნაყოფიერი იქნება, თუ ისინი ამოხსნებშიც გაიწაფებიან და თანაც ყურადღებით და კრიტიკულად შეისწავლიან სხვა ავტორთა გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს.

შედგენის ტექნიკის ერთ-ერთი ნაცადი ხერხია დაფაზე განლაგებული ფიგურების ადგილების, დაფის მხარეების, თვით პერსონაჟი-ფიგურების შეცვლა. ჩვენი დროის გამოჩენილმა პრობლემისტმა, ცნობილმა მეცნიერმა-მეტალურგმა ალექსანდრე გულიაევმა, რომელიც აგრეთვე კომპოზიციის საერთაშორისო დიდოსტატის წოდებას ატარებს, თავის დროზე „დაფის ტრიალის" ხერხის გამოყენებით მეტად შთამბეჭდავი და ორიგინალური ნაწარმოები შექმნა.

**ა. გულიაევი, 1944**



**შამათი 3 სვლაში**

იმედია, ჩვენს ამომხსნელებს მისი ამოხსნის პოვნა არ გაუჭირდებათ. მაგრამ ამ ამოცანის „ისტორია" ამით არ მთავრდება. ამოხსნის შემდეგ დაფა 180°-ით შემოაბრუნეთ და ახალი სამსვლიანი ამოცანის ამოხსნა მოძებნეთ.

ჩვენი რუბრიკა არც დამწყებ ავტორებს ივიწყებს და დროდადრო ადგილს უთმობს მათი შემოქმედების ნიმუშებს. გთავაზობთ ქართულ მუსიკალურ სამყაროში ცნობილი ადამიანის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის რევაზ ტაკიძის მიერ შეთხზულ ორსვლიან ამოცანას, რომელიც „ცხენის წელიწადის" მოტივზეა აგებული. მართალია, მისი სიუჟეტი არ არის რთული, მაგრამ საყურადღებოა მოხდენილი ფორმით და მხედრული შამათებით. იმედია, ჩვენი ამომხსნელები მას დიაგრამაზევე ამოხსნიან.

**რ. ტაკიძე**
**(იბეჭდება პირველად)**



**შამათი 2 სვლაში**

ველით თქვენს პასუხებს, ძვირფასო მეგობრებო!

# ოლიმპიური კალეიდოსკოპი

● **ბარსელონის** ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებით თამაშებში მონაწილეობას მიიღებს ქვეყნების სარეკორდო რაოდენობა. ამას ექსპერტები, პირველ რიგში, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობების გაუმჯობესებით ხსნიან. საორგანიზაციო კომიტეტის აზრით ბარსელონას სულ ცოტა 167 ქვეყნის დელეგაცია ეწვევა.

● **ქალაქის** მერის პასკალ მარგალის განცხადებით ბარსელონის თამაშებში საასპარეზოდ ჩამოვა კუბის დელეგაცია, რომელმაც მანამდე ორ ოლიმპიადას (1984 და 1988 წლების) გამოუცხადა ბოიკოტი. თამაშებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ალბანეთმაც, რომელიც კარგა ხანია გაეთიშა ოლიმპიურ მოძრაობას.

● **ორგანიზატორთა** აზრით ბარსელონის პოპულარობას ხელს უწყობს ისიც, რომ ეს ქალაქი დასავლეთევროპის ერთ-ერთი მსხვილი ტურისტული ცენტრია და მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვადასხვა სახის ტურისტულ ორგანიზაციებთან.

● **ესპანეთის** პრესის მოწმობით ბარსელონის ოლიმპიადის ორგანიზატორებს ტელევიზიისაგან უკვე განაღდებული აქვთ 416 მილიონი დოლარი.

● **ხულ მალე** ფირმა „ალკატელის" ბაზაზე შეიქმნება ოლიმპიური მონაცემების ბანკი, რომელსაც თამაშების დღეებში დიდი დატვირთვით მოუხდება მუშაობა. საინფორმაციო ბანკი ცნობებს გასცემს ოთხ ენაზე (ინგლისურად, ფრანგულად, ესპანურად და კატალონურად).

● **საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის სანიტარულმა დირექტორმა იოზეფ კუერვომ განაცხადა, რომ მთავარ ყურადღებას აქცევს სასწრაფო დახმარების სამსახურის სწორ და შეუფერხებელ მუშაობას. ნებისმიერი გამოძახების შემდეგ (საუბარია უმთავრესად ტრავმებზე) ბრიგადა ადგილზე უნდა იყოს 60 წამის შემდეგ.

## დ. მარადონა ჯარიმას იხდის

**ცნობილ** არგენტინელ ფეხბურთელს დიეგო მარადონას, რომელიც იტალიის „ნაპოლიში" გამოდის, მოზრდილი ჯარიმის გადახდა მოუწევს. შარშან, 29 დეკემბერს იგი არ გამოცხადდა გუნდის საწვრთნელ მეცადინეობაზე „ლაციოსთან" შეხვედრის წინ, შემდეგ კი 23 იანვარს ასევე გააცდინა ვარჯიში „ფიორენტინასთან" მატჩის წინა დღეს.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ „ნაპოლის" დაავალა დ. მარადონას გადაახდევინოს ჯარიმა 4 ათასი დოლარი. თუ გაიხსენებთ, რომ დ. მარადონამ შარშან გააკრიტიკა იტალიის საფეხბურთო ფედერაცია და მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრას წინასწარ განზრახული ფარსი უწოდა, რისთვისაც აგრეთვე დაჯარიმდა, საჯარიმო თანხამ სულ 18.000 დოლარს მიაღწია.

# ნბა-ს ახალი ამბები

**ნბა-ს** პროფესიულ კალათბურთელთა ჩემპიონატის მორიგ ტურში ყველაზე დრამატული ალბათ „იუტა ჯაზისა" და „დენვერ ნაგეტსის" შეხვედრა იყო. გამარჯვება მოიპოვა „იუტა ჯაზმა" (110:109), რომლის ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ჯონ სტოკტონმა მატჩის დამთავრებამდე 4 წამით ადრე ზუსტი სამქულიანი „სროლით" დააწინაურა თავისი გუნდი. არადა, 2 წუთით ადრე „დენვერი" 7 ქულით იგებდა თამაშს (107:100).

თანდათან იუმჯობესებს სატურნირო მდგომარეობას შარუნას მარჩიულიონისის გუნდი „გოლდენ სტეიტ უორიორსი". ამ ტურში მან „საკრამენტო კინგსი" დაამარცხა — 123:116. როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, ლიტველ კალათბურთელს ყოველ მატჩში თავისი გუნდისთვის საშუალოდ 11 ქულა მოაქვს, მოედანზე კი იგი ყოველ შეხვედრაში საშუალოდ 21 წუთს ატარებს.

გთავაზობთ სატურნირო ცხრილებს:

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

**ატლანტის დივიზიონი**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| „ნიუ-იორკი" | 39 | 22 | 63,9 |
| „ფილადელფია" | 38 | 24 | 61,3 |
| „ბოსტონ-სელტიკსი" | 35 | 25 | 58,3 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „დეტროიტი" | 47 | 15 | 75,8 |
| „ჩიკაგო" | 39 | 21 | 65,0 |
| „მილუოკი" | 32 | 29 | 52,5 |

**დასავლეთის კონფერენცია**

**შუა-დასავლეთის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „იუტა ჯაზი" | 45 | 17 | 72,6 |
| „სან-ანტონიო" | 39 | 20 | 66,1 |
| „დენვერი" | 33 | 28 | 54,1 |

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლოს-ანჯელესი" | 46 | 14 | 76,7 |
| „პორტლენდი" | 43 | 18 | 70,5 |
| „ფენიქსი" | 41 | 19 | 68,3 |

# კვლავ „მაკლარენი"?!



**„ლელოს"** მკითხველისთვის უკვე ცნობილია „ფორმულა 1" კლასის ავტომობილებით რბოლაში მსოფლიოს 41-ე ჩემპიონატის პირველი „გრან პრის" გათამაშების შედეგი. დავამატებთ მხოლოდ იმას, რომ საკვალიფიკაციო რბოლებში 30-მა პილოტმა იასპარეზა. სხვადასხვა მიზეზის გამო სტარტზე ვერ გამოვიდა 5 სპორტსმენი. ინგლისელი მარტინ ბრანდლი, მსოფლიოს 1988 წლის ჩემპიონი „პროტოტიპებში", კვლავ ამ კლასში მოასპარეზე „იაგუარის" ღირსებას დაიცავს. მის ნაცვლად „ბრებემმა" მიიწვია შვეიცარიელი გრეგორ ფოიტეკი, რომელმაც, სხვათა შორის, დებიუტი იმით აღნიშნა, რომ თავისი ავტომობილი ნამსხვრევებად აქცია. საბედნიეროდ, პილოტი არ დაშავებულა. ავადმყოფობის გამო ორი-სამი თვით გამოეთიშა ასპარეზობას ემანუელე პირო (იტალია, „დალარა-ფორდი"). ამავე მიზეზით გამოტოვებს პირველ ორ ეტაპს ალექს კაფიც (იტალია „ეროუზ-ფორდი"). დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია „ონიქს-ფორდის" მენეჯერმა ვან როსემის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ იგი უარს ამბობს ჩემპიონატში მონაწილეობაზე. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს ჟან-მარი ბალესტრს ახალი საქმე გაუჩნდა — იგი ცდილობს გადაათქმევინოს ჰოლანდიელ ბიზნესმენს თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. გიუნტერ შმიდტმაც მოხსნა „რიალი" შეჯიბრებიდან.

სპეციალისტების აზრით, ფენიქსის ტრასაზე საკვალიფიკაციო რბოლა უფრო საინტერესოდ მიმდინარეობდა, ვიდრე თვით ეტაპი. პირველ დღეს ავსტრიელმა გერჰარდ ბერგერმა („მაკლარენ-ჰონდა") ყველაზე სწრაფად გაიარა ერთი წრე და, საბოლოოდ, თავისი მე-5 საწვრთნელი რბოლა მოიგო. სასტარტო ბილიკზე მისი „მაკლარენი" პირველი იდგა.

მართალია, ბერგერმა ეს უპირატესობა ვერ გამოიყენა, მაგრამ ტრასის რეკორდი მაინც დაამყარა (1 წუთი და 31,05 წამი) და გააუმჯობესა თანაგუნდელის შარშანდელი შედეგი.

აირტონ სენამ 21-ე „გრან პრი" მოიგო და გამარჯვებათა რაოდენობით გაუსწრო თანამემამულეს, ნელსონ პიკეს. ისინი მეექვსე-მეშვიდე ადგილს ინაწილებენ. ლიდერი კი, როგორც იცით, ალენ პროსტია. იგი 39-ჯერ იყო პირველი.

ამერიკის ეტაპი „მაკლარენისთვის" 331-ე იყო, „ჰონდასთვის"— 139-ე. სულ ინგლისურ გუნდს მოგებული აქვს 57 საკვალიფიკაციო და 81 ეტაპი. „ჰონდამ" 53-ე გამარჯვება მოიპოვა.

**დავით ჩუბინიძე.**

რედაქტორის მოადგილე
შ. ჯიჯინაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხამდივნო — 93-97-53,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი" — 93-97-36, „შარავე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08748